ამას დაემატა სტუდენტობის დროს თბილისის თეატრში მიღებული შთაბეჭდილებები, მარჯანიშვილის, ახმეტლის, ვერიკოს, უშანგის, და სხვათა ხელოვნების ახლოს გაცნობა, და საბოლოო არჩევანიც გადაწყდა. ახალგაზრდამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მისი ერთადერთი გზა ცხოვრებაში თეატრია. ასე მივიდა იგი ხაშურის რეინჯის მუშათა ნახევრად პროფესიულ თეატრამდე. აქ გამოუმუშავდა მსახიობს სამკავალითო კეთილსინდისიერება საქმეში, პასუხისმგებლობის გრძნობა, რომლითაც იგი განსაკუთრებით გამოირჩევა; აქვე განმტკიცდა მასში ადამიანების მიმართ ყურადღებოანი, ფაქიზი დამოკიდებულება. მაგრამ ეს ყველაფერი ა. ომიანის მოქალაქეობრივი თვისებებია. რაც შეეხება პირველ პროფესიულ ნაბიჯებს, ახალგაზრდის სწორი გზით წარმართვას, ამასი განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით რეჟისორ მიხეილ ჭიაურელს და მსახიობ იუზა ზარდალიშვილს, რომელნიც სხვადასხვა დროს იყვნენ მიწვეული ხაშურში დასის ხელმძღვანელები და რეჟისორად. ამ ორი შესანიშნავი ხელოვანის ხელმძღვანელობით ითამაშა ა. ომიანემ პირველი როლები.

ახალგაზრდა მსახიობმა ექვსი წელი დაჰყო ხაშურის თეატრში. კარგმა ვარჯიშობამ და როლებმა ა. ომიანეს პოპულარობა მოუპოვეს თეატრის მოყვარულთა შორის. განსაკუთრებით ხიბლავდა, რომ ახალგაზრდა მსახიობი სრულიად თავისუფალი იყო სცენისმოყვარისათვის ესოდენ დამამასიათებელი ყალბი პათოსისა და ზეაწვეულობისაგან, ცუდად გაგებელი თეატრალობის ამ აუცილებელი თანამგზავრისაგან. გასაოცარი სისასხითა და ბუნებრივობით იყო აღბეჭდილი მისი შესრულება თვით „გმირულ“ როლებშიაც კი.

ხაშურის თეატრში განსახიერებულ მრავალრიცხოვან როლ-





თორნიკე ალ. ოშიაძე  
(„ხარტაიანი კერა“)

საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება და უნაგარო სიყვარული, საკუთარი თავისადმი დიდი მომთხოვნელობა და უდიდესი უნარი იყოს სცენაზე ყოველთვის მართალი, თბილი და სადა. შემდეგ ა. ოშიაძემ შეიძინა კიდევ მრავალი თვისება, რომლებიც ყოველთვის მოაქვს დროს, გამოციდილებას. დღეს მას იცნობენ, როგორც მახვილი შემოქმედებითი თვალის, ტყუარი ალღოს, მართალი და ფაქტური გრძნობების მსახიობს.

მაგრამ შემოქმედებითი მიღწევები, პროფესიონალიზმი ხომ თავისთავად არ მოსულა. იმ პიკიდის დასამკვიდრებლად, რომელიც ა. ოშიაძეს დღეს უკავია თეატრში, საჭირო იყო ხანგრძლივი, დაუღალავი შრომა, წვრთნა, მსახიობმა დიდი მონდობის, გულმოდინების მეხებით წარმატებით განვლო ეს წინააღმდეგობებით სავსე გზა. მან კარგი აქტიორული სკოლა გაიარა როგორც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ასევე კინემატოგრაფიაში ჩვენი დროის წამყვან ხელოვანთა მხარდამხარ მუშაობით.

რა თქმა უნდა, შემოქმედების ვრცელ გზაზე ა. ოშიაძეს მარტო წარმატებით არ უკლია. როგორც ყოველ ხელოვანს, მასაც ქვითნა ჩავარდნები, მაგრამ მათი სვედრითი წონა მცირეა, მნიშვნელობა კი დიდი, რადგან ყოველი მარცხი რაღაც ახლის დანახვავში შევლის მსახიობს.

მარჯანიშვილის თეატრში მოსულ ოშიაძეს იმთავითვე გაუღმა ბედა. პირველი მისი როლი იყო გაბრო სპექტაკლში „ჩატხილი ხიდი“. მასალა ბავშვობიდანვე ნაცნობი იყო, საყვარელი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო ძალები. გაბრომ ა. ოშიაძეს მოუტანა პირველი გამარჯვება მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. კეთილშობილ, ალამბარ-თალ, მოსხვარებულ გაბროს მოჰყვა შამილის მიურღი, უშიშარი ყარაღაჯიო, ხაღისათვის თავდადებული ბოლშევიკი ალიომა („იკვა რეიანიშვილი“), საბჭოთა ეპოქის ჭეშმარიტი შვილი, ხაღის წიაღიდან გამოსული და მისი თავდადებული მსახური პროფესორი მოროხოვი („ბედნიერება“), არჩილ შანიძე („განარჩევალად პიროვნებისა“), სევასტი („ყვარყვარე თუთაბარკი“), ჯემალ ვარშანიძე („შური“) და სხვა მრავალი სსხე.

ჯემალ ვარშანიძე ი. ვაკელის ერთ-ერთი მთავარი გმირია — ახალგაზრდა გამოგონებელი. ოშიაძის — ჯემალის წარმატებით ემყაროდა, ბედნიერ ადამიანად გვევლინებოდა. თუმცა მის ბედნიერებას ჩრდილი მაინც ადგა — ზოგიერთი ამხანაგი უნდობლობის ირწაღ მისი გამოგონებისადმი. მსახიობი ჩინებულად გვიჩვენებდა, რომ მიუხედავად მრავალთა მხარდაჭერისა, ანაერტი შემოქმედებისა, ჯემალში პატარა უნდობლობაც კი ეჭვს, რაღაც ქვეყნობიერ შიშს იწვევს. მაგრამ წამლის პრაქტიკული გამოყენება მაინც იწყება. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, მით უფრო, რომ ჯემალს მსახური უდგანან საყვარელი ქალიშვილი — აიშე და ამხანაგები. მაგრამ ავტორმა ბედნიერების მიღწევამდე ჯემალს მრავალი განსაცდელი შეხვედრდა: დედა მოუკვდა, მანვებლებმა მის მიერ გამოგონილ წამალში საწამლევი გაუტრის, რის შედეგადაც დაიღუპა პლანტაციაც; ამას მოჰყვა სასმასურიდან დათხოვნა, მძი-ბე ბრალდება — სამშობლოს მორალატუდ მიჩნევა, სატროფოსაგან ზურგლის შექცევა. ჯემალის ყველა ეს განცდა, რომელიც მალე სისხარულით შეიცვალა, მსახიობმა დიდი დამაჯერებ-

თავან მსახიობს განსაკუთრებით ჩარჩა მესხიერებაში ამირანი („სალტე“), არჩილი („სამეგრელოს მთავარი ლეენა“), სტუდენტი („პოპლა, ჩვენ ვიცოცხლობთ“) და არსენა.

ა. ოშიაძის ქუთაისში მიწვევის დროს თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი ვახტანგ აბაშიძე. აქვე გაეცინო მსახიობი რეჟისორებს არჩილ ჩხარტიშვილსა და ვასო ყუშიტაშვილს, ქართული საბჭოთა თეატრის ამ ორ ჩინებულ მოღვაწეს. (ა. ოშიაძემ ქუთაისში მხოლოდ ორი სეზონი დაჰყო).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მსახიობისათვის ქუთაისის პერიოდში მუშაობა კორნაჩიოს როლზე სპექტაკლში „ვოლოდნი“. ბენ ჯონსონის ეს კომედია ვ. ყუშიტაშვილის მიერ დადგმული (უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ) პირველი წარმოდგენა იყო. რეჟისორმა არაფერი დაზოგა იმისათვის, რომ ამ საყმაოდ დრომოჭმული პიესიდან შეექმნა უაღრესად აქტუალური, რეალისტური სპექტაკლი.

ვ. ყუშიტაშვილისათვის, რეალისტური ხედვის რეჟისორისათვის, რა თქმა უნდა, ძალზე მახლოელი იყო ოშიაძის აქტიორული ბუნება. ოშიაძეს პირველი გამარჯვება თბილისის სცენაზე სწორედ ვ.ყუშიტაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლ „ჩატხილი ხიდი“ ხდა.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ა. ოშიაძე მოვიდა 1935 წელს. მოვიდა უკვე როგორც გარკვეული გამოციდილების მქონე მსახიობი. მან მშვენიერად იცოდა, თუ რამდენს ავალგებდა ასეთი დიდი შემოქმედებითი ოჯახის წევრობა, რომ ადვილი არ იქნებოდა ასე სახელმწიფევილი მსახიობების გვერდით მუშაობა. მოვიდა და თავისი პირველივე ნამუშევრებით ნათელყო, რომ, როგორც მსახიობს მრავალი ღირსება აქვს:

ლობით, სიღრმით, გულწრფელობით წარმოსახა. უსამართლო ბრალდებით გულნატკენი ჯემალის განცდებს მსახიობი ძალზე ძუნწად გადმოგვცემდა. იგი იდგა სახებით განადგურებული, მისი თვალები უზომო სევდას გამოხატავდა, მდგომარეობის ტრაგიზმს მსახიობი გადმოგვცემდა ჩაშრალი, სევდიანი გამოხედვით, ძუნწი მოძრაობით.

ამ განსაცდელს ახალი დაემატა: სწორედ სასოწარკვეთის ეამს მივიდა მასთან ჯაშუში, თითქოს ამით მისი ძაღვის გამოცდა სურდა, და ჯემალმა ამ გამოცდასაც გაუძლო. მსახიობმა ვეინჯენა, რომ ჯემალის სასოწარკვეთილება წუთიერია, საკმარისია გამოჩნდეს მტერი, რომ იგი კვლავ იქნეს მებრძოლად, თავისი ქვეყნის ერთგულ დარჩადა, უდიდესი სულიერი სიმტკიცე და ძალა გამოიჩინოს. ჯემალის ირგვლივ ნისლი შემოიფანტა და ყოველივე კეთილად წარიმართა. მისი თვალებიდან სიხარულის სხივები გამოერთის, განვლილი უსამოვნებანი დავიწყების მიეცა. ამდენ გასაჭირს, უსამართლობას ახალგაზრდა არ გაუტყვია, არ გაუბოროტებია. მის სახეს კვლავ კეთილშობილების, რწმენის, გულითადობის ნათელი მისაგს. აქ მსახიობი იმდენად მართალი და აღამიანურია, რომ მაღალფარდვანი მონოლოგიც კი ფინალში სავეებით დამაჯერებლად ქდერდა.

კინემატოგრაფიაში ომიამე 30 წლების ბოლოს მოვიდა, იმ დროს, როდესაც ხმოვანი კინო მყარად იყო დამკვიდრებული. პროფესიონალ კინომსახიობთა რიგები საქართველოში საიცრად მცირე იყო, კინემატოგრაფია საზრდობდა თეატრის მსახიობებით. რაც შეეხება ამავე პერიოდის რეჟისურას კინოში — აქ საქმე ბევრად უკეთ იყო. კინემატოგრაფიაში მუშაობდა მთელი წყება ჩინებული, სახელმწიფოებრივი კინორეჟისორებისა, რომელთაც წარმატებით განაგრეს და უფრო დიდ სიმაღლეზე აიყვანეს თავიანთ სახელოვან წინამორბედთა ხელოვნება. ამ დროისათვის უკვე გუშინდელ დღეს წარმოადგენდა „წითელი ეშმაკუნები“, შესანიშნავი მუნჯი ფილმები ნატო ვანნადის მონაწილეობით, შექმნილი იყო „უკანასკნელი მასკარადი“, „ასრენა“, „ელისო“, „დარიკო“, „დაკარგული სამოთხე“ და მრავალი სხვა ჩინებული ქართული ფილმი, რომელთაც სახელი გაუთქვეს ქართულ კინოხელოვნებას. ასეთ ვითარებაში მოუხდა კინოში მოსვლა ომიამეს. იგი მიიწვია რეჟისორმა კ. მიქაბერიძემ, რომელიც დასადგმლად „კაკო ყაჩაღს“ ამზადებდა. აქ ა. ომიამეს კაკო ყაჩაღის სახე უნდა შეექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფილმზე მუშაობა შეწყდა და იგი არ განხორციელებულა. ამის შემდეგ კ. მიქაბერიძემ დაიწყო მუშაობა კინოკომედიაზე „დაგვიანებული სასიძო“ და კვლავ მიიწვია ა. ომიამე მთავარ როლზე. ამ დროისათვის იგი უკვე საკმაოდ სახელმწიფოებრივი მსახიობი იყო, და მაცურებელი კარგად იცნობდა. სანდრო იყო მისი პირველი კომედიური როლი კინოში. ფილმმა დაგვიანება, რომ კ. მიქაბერიძე არ შემცდარა არჩევანში, რეჟისორულ ალღოს არ უმტკუნია.

ფილმის ცენტრალური პერსონაჟებია საკოლმურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები სანდრო და მარო (თ. ციციშვილი), ორივეს დაგვიანებია დაოჯახება და მათი ტრფიალი ერთმანეთისადმი ღიმილს იწვევს მაცურებელში. სანდრო — ალ. ომიამე არაერთხელ ექცევა კომედიური სიტუაციების ცენტრში, მსახიობმა ყველა ამ ეპიზოდში დიდ წარმატებას



სცენა სპეტაკლანდ „ხეხები ზეზუელად კვდებან“

მიადწია შესრულების უაღრესი სერიოზულობით. ა. ომიამეს ვერ უპოვინთ ერთ კადრს, ერთ მოძრაობასაც კი, გამოჩნულს მაცურებლის გასაცინებლად.

ა. ომიამის წარმატებას ამ ფილმში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სანდრო ზომი მისი პირველი ნაბიჯი იყო კინოში. ამ როლს გზა უნდა გაესხნა მისთვის კინოხელოვნებისაკენ.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი

ყარაგაჯილი — ალ. ომიამე („შამილი“)





ა. ოშიაძის შემოქმედებით ცხოვრებისა — პერიოდი მარჯა-  
ნიშვილის თეატრში ადგილის პოვნისა და კინოხელოვნებაში  
გზის გაკაფვისა.

ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“, რომელიც დიდი სამა-  
მულო ომის პერიოდში დაიდა, დიდ და საინტერესო მასალას  
იძლეოდა პატრიოტული, გმირული გზების, ბრძოლის პა-  
თოსით ანთებული სპექტაკლის შესაქმნელად. წარსულის გმი-  
რობის მაგალითზე თეატრი მასურებელს უნერგავდა სამშობ-  
ლოს სიყვარულს, თავდადებას, გამარჯვების რწმენას, ბრძო-  
ლის წყურვილს და ადამიანურ გულსხმიერებას. ამ უწმინდესი  
გრძნობების ერთ-ერთი მთავარი აღმძვრელი იყო ოშიაძის —  
ბერუა. მოხუცი მედროშე თავისი გმირობით, თავდადებათ  
სამშობლოსათვის თავგანწირვაზე მოუწოდებდა ახალგაზრდო-  
ბას, მისი გასაოცარი, ღრმა და ადამიანური სიბოძ საბრძოლვე-  
ლად აღადგინებდა, ხოლო ქედმოხურელი, ვაჭაკური სიკვდილი  
შურისძიების სურვილს იწვევდა.

ა. ოშიაძის — ბერუაში ერთმანეთს შერწყა გლეხური  
სიღინჯე და სიბრძნე, მეომრის გულგანება და ძალა. მისი  
მშვიდი, მტკიცე მოძრაობა ამბობდა, რომ მისთვის არც ხმალია  
უცხო და არც ნამგალი. ბერუა ბრძენიც იყო და გულუბრყვი-  
ლოც, უსოფოდ კეთილც და დაუნდობელიც, საოტრად მართა-

ლი და ალლიანიც. ოშიაძის სცენაზე პირველი გაბრუნებულ  
ნავე მასურებელს სჯეროდა, რომ მის წინ იდგა ყაღრიანი,  
მრავალჭირანხალი, ბრძენი, მუსლიმური ქართული გლეხი.

ეპიზოდში შენიღბულ მოსონანს შეხვედრისას მსახიობი  
ბერუას გამჭრიახობას, გულთადაობას და სიფრთხილს უს-  
ვანდა ხაზს. იქნაწარვე აღტაცებით ასამაძე ქებას ბერუა უც-  
ნობი მოხუცის ვაჭაკობას, ბავშვურად გულუბრყული სიხა-  
რულით ენთუბოდა თავლები საიდუმლოს ამოცნობის პირველ  
წუთს, ახალგაზრდა მოსონანს და მწერაში რაოდენი სიყვარუ-  
ლი გამოსჭვავიდა.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ წუთით. საკმარისია გრძნო-  
ბასთან გონება ჩაერის, რომ ა. ოშიაძის სახე მსწრაფლ იცე-  
ლებს: ბუნდავთ შემოფთობას, ზრუნვას. ბერუამ კარგად იცის,  
რომ ზესიკის გამოჩენა პაატა ბატონიშვილის კარზე უბრალოდ  
არ ჩაივლის. ამიტომ არის, რომ მოხუცი მედროშე მთელი არ-  
სებით ცილდობს შვაგონის ტრფობით ანთებულ ჭაბუკს, ამი-  
ტომ გამიხატავს ანდრე სასოწარავთოს მიხუცის სახე, მო-  
მიზანს ვერ აღწევს, ამავე მიზეზითაა გამოწვეული სურვილი,  
რადაც არ უნდა დაუდგეს დაფაროს ბესიკი პატრი ნიკოლასა-  
გან და ყოველივე ამას მსახიობი ისე უბრალოდ, თბილად და  
შოამაგონებელი სიძლიერით აკეთებს, რომ ძნელია მისი და-  
ვიწყება.

შოამბეჭდავია ოშიაძე ბერუას სიკვდილის სცენაში. მო-  
ხუცი მედროშე, დროშით ხელში, სასიკვდილოდ დაჭრილი  
ასვენია სცენაზე. მის სახეზე გამარჯვების სიხარული, ვალმოხ-  
დილი ადამიანის კმაყოფილება იხატება. ბერუა ღუმს, მაგ-  
რამ ეს დუმილი გაცილებით უფრო მეტის მოქმედია, ვიდრე  
სიტყვამარავალი მონოლოგი. ბერუა კვდება და ეს სიკვდილი  
მასურებელში იწვევს გულსტიციელს, შურისძიების გრძნობას,  
მაგრამ არავითარ შემთხვევაში — სიბრალულს.

საფრონტო ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებში „გრიგა-  
ლი“, „პარტიზანები“, „მელიდე“, „ვის ემორჩილება დრო“  
და „უძლეველი“ ოშიაძემ შექმნა სამშობლოსათვის თავდა-  
დებული, სიმართლის რწმენით ამაყი და ძლიერი, შეუპოვარი  
ადამიანების სახეები.

ნათლი, მიმოხიდეველი ფერებით წარმოსახა ა. ოშიაძემ  
კაცთმოყვარე, გულსხმიერი, ამავე დროს მტკიცე, დაუნდო-  
ბელი საბჭოთა გენერალი კარტაშვი (ვის ემორჩილება  
დრო). ქემშარტად ხალხური სიბრძნით დაჯიღოლეული,  
კეთილი და მოსიყვარულე ოლიფანტეს სახე („უძლეველი“)  
მსახიობმა დიდი ადამიანური დრამის სიმაღლეზე აიყვანა. ამ  
როლით ოშიაძემ მასურებელს განაცდევინა ტრავედია მამისა,  
რომელსაც ოშია მეტად მძიმე განსაცდელი არგუნა წილად:  
იგი შვილს დასაღუპად იმეტებს, ოღონდ თავისი ამხანაგების  
სიცოცხლე იხსნას. ტუნწად, მაგრამ დიდი სიბოთით ატარებდა  
მსახიობი შვილთან გამოთხოვების სცენას. აქ მასურებელს  
აღაფროთავანებდა ოშიაძე — ოლიფანტეს კეთილშობილი თავ-  
შეკაება, მაღალი მოქალაქეობრიობა, თითქმის გმირული სიმ-  
ტკიცე და დიდი შოობილური სიყვარული, მამა ეთხოვება სა-  
სიკვდილოდ განწირულ შვილს და ცდილობს გაამწვევოს, არ  
აგრძნობინოს შიში, რომელსაც მთელი მისი არსება მოიცავს.  
მამა ეთხოვება შვილს და ყოველი მისი სიტყვა ისე ადამიანურ-  
რია, ისე გულშირამწვედომი, რომ არ შეიძლება ეს სახე, ეს

ბერუა — ალ. ოშიაძე („მეფე ერეკლე“)



ხმა, ეს ადამიანი სამუდამოდ არ ჩაგრეს მესხიერებაში, როგორც ახლო ნაცნობი, რომლის საშინელი ტრაგედიის მოწმე ყოფილხარ ოდესღაც.


ნიკოლოზ ერმოლოვის („მელოდე“) წარმოსახვის დროს ა. ოშიაძე ცდილობდა მაყურებლის თვალწინ გადაეშალა საბჭოთა მფრინავის დიდი სულიერი სიმდიდრე, მისი შესანიშნავი ადამიანური თვისებები. და მართლაც, დიდი მოქალაქეობით, მაღალი ადამიანურობით არის აღბეჭდილი ოშიაძის — ერმოლოვი. იგი მომზიბლავდა უბრალოა და სადა; მისი ამ გარეგნული უბრალოების მიღმა მსახიობმა იპოვნა და დაგვანახვა ადამიანებისადმი სიყვარულით ავსილი გული, უნარი, იყოს ფაქიზი, გულისხმიერი ადამიანების მიმართ. მსახიობმა ხაზი გაუსვა ერმოლოვის სუფთა, რწმენით აღსავსე მოკრძალებულ სიყვარულს ღიზასადმი და უჩვენა მაყურებელს, როგორ დაეხმარა ეს კეთილშობილი გრძნობა ერმოლოვს მტერთან ბრძოლაში, როგორ გადაატანინა ყოველგვარი გასაჭირი ღიზას სიყვარულის რწმენამ.

ა. ოშიაძის შემოქმედების ამავე პერიოდს განეკუთვნება მის მიერ კინოში შექმნილი სახეები: ზურაბ ერისთავი „გიორგი სააკაძეში“ და ბეჟანა ხელაშვილი „ის ისევ დაბრუნდება“. ეს ორი სახე, ერთმანეთს არაფრით არ გაავს, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ბუნების ადამიანები არიან.

ზურაბ ერისთავი გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლია, სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟაკი, ფიცი, გამჭირაბი, საზრისიანი. ასეთად დაგვიხატა ოშიაძემ თავისი გმირი. დახატა დიდი სიყვარულითა და გზნებით და შეეცადა ამ სახით კიდევ ერთხელ გაეხვა ხაზი, რომ მამულიშვილს ნება არა აქვს იფიქროს საკუთარ კეთილდღეობაზე, როცა სამშობლო განსაცდელშია. ზურაბ ერისთავის სახეც ისევე, როგორც ა. ოშიაძის მიერ სცენაზე შექმნილი მეოთხე რიგი სახეები, მძლავრად ეხმარებოდა თანამებრძოლებს. ზურაბ ერისთავის კეთილშობილი ვაჟაკობა ა. ოშიაძემ წინა პლანზე წამოსწია და მის თვისებად აქცია, და თუმცა როლი ეპიზოდური ხასიათისაა, მაგრამ მსახიობმა მიაღწია იმას, რომ იგი ისევე გამასოვრდებათ, როგორც ფილმის მთავარი გმირები.

ფილმში „ის ისევ დაბრუნდება“ ასახული იყო ომის დროინდელი ქართული სოფლის ცხოვრება, სოფლისა, სადაც შრომის მთელი სიმძიმე დააწვა მოხუცებსა და ქალებს. ბეჟანა ხელაშვილი კი იყო ამ ფილმის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი. მსახიობი გრძნობდა, თუ რაოდენ სერიოზული ამოცანა იდგა მის წინაშე და მთელი გულით შეეცადა ბეჟანა ხელაშვილის სახე მის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო.

ფილმის გადაღების დროს, მუშაობის ისევ რთული პირობები კიდევ უფრო გათრულდა; პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაზარდა ტრაგეკულმა ფაქტებმა: ეს იყო დამდგმელი რეჟისორის ნიკოლოზ შენგელიას მოულოდნელი გარდაცვალება. ამ ამავაგე კიდევ უფრო შეამძიდრავა ფილმზე მომუშავე კოლექტივი; ყოველ მათგანს სურდა — ემუშავა ისე, რომ არ შეერცხვინა ნიკოლოზ შენგელიას სახელი. დიდმა მონდობებამ თავისი გაიტანა, მათ შორის, ჯიქს სიყვარულსა და ძალას არ იმრებებოდა დაწყებული ვინცს დირსკულად დასაგვიგრიკუნებლად, ერთი პირველთაგანი იყო ოშიაძე, მისი ბეჟანა ხე-



ილია ჭავჭავაძე — ალ. ოშიაძე („წიწკაშვილი“)

ლაშვილი ე. შენგელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საინტერესო სახეა.

განსაკუთრებით ნაყოფიერია ა. ოშიაძის შემოქმედებაში ომის შემდგომი პერიოდი. მომწიფდა მსახიობის ოსტატობა, რაც დროს მოაქვს ხოლმე. უფრო ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ იზრდებოდა მსახიობი როლიდან როლამდე, მდიდრდებოდა მეტყველი საღებავებით მისი შემოქმედება. ამ პერიოდში, ოშიაძის მიერ შექმნილი სახეები შეტად მრავალფეროვანია. და არა მარტო იმიტომ, რომ ერთმანეთისაგან სეკულად განსხვავებულ ადამიანებს ასახიერებს, როგორცაა ლორენცი („რომეო და ჯულიეტა“), თორნიკე პაპა („ხარატანთა კერა“), იასე („მისი ვარსკვლავი“), პიკერინგი („პოგმალიონი“), გიორგი ჯაფარიძე („გაზაფხულის ნიღაზი“), ცხისთავი ბაკური („მუშლი მუხასა“), ბაბოლა („ხეები ზუსურად კვდებიან“), მაქს ვენკა („გაწვირულობა შეთქმულთა“), ჩონთა („მოკვეთილი“), ტარასი ხაზარაძე („კოლხეთის ცისკარი“), და ილია ჭავჭავაძე („წიწკაშვილი“), მრავალფეროვანია მამონაც კი, როდესაც მსახიობს უბღბა ერთმანეთის მსგავსი როლების შესრულება, ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ომის შემდგომ წლებში, როდესაც თეატრებში მომარაგდა საშუალო და მდარე ხარისხის პიესები. ამ პიესებში ერთგვაროვანი სიტუაციები იყო, ადამიანებიც ერთმანეთს კავდნენ, შეუძლებელი იყო ასეთ პიესებში მსახიობის ხელწერაზე ლაპარაკი; მაგრამ ა. ოშიაძე მაინც ახერხებდა მოეხანა თვითეული მათგანისათვის დამახასიათებელი, რელიეფური ყოფილიყო ყოველი ცალკეული სახე.



ჯერ კიდევ ახალი გამოქვეყნებული იყო გ. შატბერაშვილის რომანი „მკვდრის მსუ“, როცა ა. ოშიაძემ დიდი სურვილი გამოთქვა შეესრულებია გიორგის როლი თუკი ეს ნაწარმოები ოდესმე პიესად იქცეოდა. დღეს მსახიობს შესურულდა ეს წაიღოს. გ. შატბერაშვილმა გაასცენიერა რომანი და იგი მარჯანიშვილის თეატრში იდგმება „თენესის სიმღერას“ სახელწოდებით. (რეჟისორი არ. ჩხარტაშვილი) გიორგის როლი ა. ოშიაძის აქვს დაკისრებული.

აქტიორული ხერხების სიუხვე, ნათლად გამოკვეთილი იდეური ხაზი და ფსიქოლოგიური სიხუსუტე ა. ოშიაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელი ნიშნებია.

მსახიობის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი თანამედროვე ადამიანების სახეებს უჭირავს და წარმატებასაც სწორედ ამ სფეროში აღწევს. ასე იყო მაშინ, როდესაც თეატრში ახლად მოსული თამაშობდა ჯაჟღა ვარშანიძეს, პროფესორ მოროზიშვის, ალიოშას; ასე იყო შემდეგც, როდესაც ა. ოშიაძე ქმნიდა საბჭოთა ადამიანების სახეებს სპექტაკლებში: „მათი ამბავი“, „რკინის პერანგი“, „ზვავი“, „გრიგალი“, „ვის ემორჩილება დრო“, „გამახარა“, „უსტყურულთან“, „მელდე“, „ხარატანთ კერა“, „უძღვევინი“, „გაზაფხულის ნიაღვარი“, „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“, „მისი ვარსკვლავი“, „კოლხეთის ცისკარი“ და მრავალი სხვ.; ასევე იყო კინოფილმებში „დადგინებული სასიძო“, „გაზაფხული საკნებში“, „ის ისევ დაბრუნდება“, „ჭრიჭინა“, „აბეჯარა“, „ისინი ჩამოყვანდნენ მთიდან“, „შე ვიტყვი სიმართლეს“ და „შეწვევითი სიმღერა“, ასევე დღეს და ასევე იქნება ყოველთვის.

მ. მრეწლიშვილის პიესაში — „ხარატანთ კერა“ (რეჟისორი არ. ჩხარტაშვილი) ოშიაძე პაპა თორნიკეს როლს ასრულებდა. ოშიაძის — პაპა თორნიკე კერა მოხუცია, რომლისთვისაც ცხოვრებაში ყველაზე წმინდათა ყმნადა არის პირადი საკუთრება. და ამიტომ მთელი ძალით ებრძულება იბრძვის მის შესანარჩუნებლად. მას სურს, რომ საკუთარი სახლი ჰქონდეს, საკუთარი მიწა, მტკიცედ მოხაზული საკუთარი მიწა, ჰყავდეს შვილი, რძალი, რომელიც მხოლოდ ამ მიჯნისთვის, ამ საზღვრისათვის იმრობებენ. ალე ოშიაძე — პაპა თორნიკე დინჯი ნაბიჯით დადიოდა, მძიმედ მოძრაობდა. მძიმედ შეტყუებულად, გამობრუნებულ მძიმე ჰქონდა და მაყარი. იგი დარწმუნებული იყო თავის სიმართლში და ამიტომაც იყო დაუნდობელი. თუმცა დაკვირვებული თვალი მსახიობის მიერ წარმოსახულ თორნიკე პაპაში მაინც დანახავდა მოსიყვარულე გულს.

თორნიკე პაპას სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისა იასე უსტაშვილი ი. მოსაშვილის პიესაში „მისი ვარსკვლავი“. ამიტომ მსახიობმა სულ სხვა ხერხები მოიშველია მის დასახატად. ეს მრავალჭირანხული იასე უსტაშვილი გულია, გამომდილი მწყემსია. სწორედ ამ ზომამე მეტმა გულუბრყვილობამ მიიყვანა იგი ასეთ შედეგამდე, იასე თუთური ვარსკვლავის დადევანდებ. მით უფრო ძლიერი იყო დანაშაულის შეგრძნება, სინდისის ქეჯნა, მსახიობი ჩინებულად წარმოსახავდა იასეს განცდას. იასეს როლის წარმატებით შესრულებისათვის 1952 წელს ა. ოშიაძეს მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

თორნიკე პაპასა და იასეს შემდეგ ჩვენს წინ გაცოცხლდა

გიორგი ჯაფარიძე სპექტაკლში — „გაზაფხულის თაყვანისმცემელი“ ალე ოშიაძის გიორგი უღრეკი ნების ჭეშმარიტი კომუნისტია, როლის ძალა და გაკაცურ ბუნება შესანიშნავად უთავსებოდა ღრმა ლირიზმს. ოშიაძის გიორგი იმდენად ცხოვრებისეული იყო, რომ გეგადებოდა სურვილი მხარში ამოდგომოდი, შენც მასთან ერთად შემბრძობოდი ბიუროკრატებს, კარიერისტებს და ნაძარბალებს.

ტარასი ხაზარაძე („კოლხეთის ცისკარი“) ერთ-ერთი საინტერესო სახეა ოშიაძის შემოქმედებაში. მსახიობმა იგი მან შეაფარა საღებავებით და რომანისეული ძალა და სიცოცხლე დაუბრუნა. ა. ოშიაძემ ტუნქი, მაგრამ ზუსტად მიგნებული ხერხებით ცოცხლად და შთამბეჭდავად წარმოსახა ხელმძღვანელი, მებრძოლი, ადამიანი; გვიჩვენა როლის შინაგანი ხაზის თანმიმდევრული განვითარება, რითაც ტარასის სახეს მეტი ცხოველყოფილება მიანიჭა.

მეტად თავისებური სახეა ა. ოშიაძის მიერ განსახიერებული მოხუცი ფერდინანდ ბალობა („სხეში ზეზუნად კვდება ბიან“). პირველად სურათიდან, როდესაც ბალობა — ოშიაძე დირექტორს ამცნობს თუ რისთვის მივიდა იგი მასთან, მაყურებლის წინ გადიაშლება ადამიანის დიდი გული, კაცობრივად გრძობა. მსახიობმა პირველ სცენაშივე გამოახა ის ხერხები, რომლებიც სრულებით ბუნებრივსა და გასაგებს ხდის ბალობას სურვილს და მის ურთიერთობას პიესის დანარჩენ გმირებთან.

შემდგომ მოქმედებებში, სადაც სიმძიმის ცენტრი სხვა პერსონაჟებზე გადადის, ოშიაძის ბალობა თითქოს განზუგამდვარად და იქნად ადევნებს თვალყურს მოქმედების განვითარებას. სინამდვილეში მსახიობი არასოდეს არ იფიქრებს თავის ფუნქციას, არასოდეს არ გრძნობს თავს მოქმედებიდან გამოთიშულად. პირიქით, ის ყოველთვის აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, ყოველთვის დროულია და გასაგები ოშიაძე-ბალობას მოლოდინის სავსე მუსკავა, ბედნიერების გამოხატველი სახეც, შიშნარევი დაძაბულობაც. ყველაფერი ეს შინაგანია. გარეგნულად კი ბალობა თითქოს ყოველთვის მშვიდია, გიონარად თავდაჭერილი და ყველასთან ტაქტიანი, სულიერად ძლიერი და მტკიცე.

მსახიობის ცხოვრებაში არის ხოლმე განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენები, განსაკუთრებით საყვარელი როლები. ილიას როლმა სპექტაკლ „წიწარში“ უსოხოდ დიდი შემოქმედებითი სისარული განაცდევინა მსახიობს. მართალია დიდი სულიერი ძალების დაძაბვა დაჭირდა ამ როლზე მუშაობას, მაგრამ შედეგიც უდიდესი იყო. პიესაში ასახული ილიას ცხოვრების ბოლო პერიოდი, როდესაც საზოგადო მოღვაწემ, მოაზროვნემ, იმძლავრა პოეტზე. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ა. ოშიაძის თვალთვან არაჩვეულებრივად ნათელი გონების შარავანდელი უფრო გამოკრთოდა, ვიდრე პოეტური გზნება; გარკვეულად იგი დიდ ძალისა და გონების ადამიანი უფრო იყო, ვიდრე პოეტი.

პირველად მაყურებელი ილიას ხედვებოდა საპასუხისმგებლო განხილვისათვის მზადების მომენტში. მსახიობი ზუსტად წარმოადგენდა ღრმად დაფარულ სულიერ მღელვარებას, რომელსაც განიცდიდა მისი გმირი. გარკვეულად იგი ყოველთვის ინარჩუნებდა წინასწრობას. მსახიობმა წინ წამოსწია აგრეთვე ილიას ერთი საკმაოდ ცნობილი თვისება: ჩინებული მოსა-

უბრე, ამავე დროს არანაკლებ ჩინებული, გულისყურიანი მსმენელი გახლდათ. ძლიერი, უფლებამოსილი მოწინააღმდეგეების წინაშე სიტყვის წარმოთქმის დროს ილია თითქოს საცხებით აღმშვლდებოდა, დიდხანს ინარჩუნებს წონასწორობას, მაგრამ როდესაც მოწინააღმდეგეები ყოველგვარ სახლვარს ლახავენ, თავდაწროლობას სიფიქსე სცვლის, სიღინჯეს მგზნებდება. ნელ-ნელა ჩაითრია, გაიტაცა მსახიობი ამ ბრძოლაში და მოზულავდა ტემპერამენტი; ილიას სხარტი გონებისა და მახვილი გნის ძალიან გაანადღურა მტრები. ამ დროს მსახიობის თვალებში შეიძლება ამოკითხვა იმისა, თუ რა გულამღერველია მისი გმირი, თუმცა ერთი წუთითაც კი არ ღალატობდა კეთილშობილი სიღარბისლევ და მომხიბლავი ნათელგონიერება.

ძლიერ შინაგან რიტმში მიყავდა მსახიობს სცენები საგურამოში — ილიათა დღეს იგი ჩვეულებრივად დარბაისლურად ხალისიანი იყო, გამჭრიახი და გონებით მკვიცხელი, გარეგნულად კი აუქარებელი; სცენაში არტურ ლაისტანს, საგურამოდან უკანასკნელი გამომგზავრების წინ, ოდნავ უხალისოა, ფიქრებში ჩაღრმავებული.

მსახიობი თავისი გმირისადმი უაღრესად დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა ყველა ეპიზოდში, განსაკუთრებით კი სიყვდილის წინ თბილისიდან გამომგზავრების ეპიზოდში, ილია იცნოდა, ეხუმრებოდა ოლდს, თითქოს ჯავრობდა მუზრავზე, მაგრამ თვალში უზომოდ სველიანი ჰქონდა; თითქოს რალაცი მოლოდინში მდებარეობას, უგუნებობას შეეყვრო, მაგრამ ესეც მხოლოდ თვალში ემჩნეოდა.

გავიდა დრო. ყველაზე უფრო საყვარელი როლი დღეს უკვე წარსულად იქცა. დაიწყო ახლის ძიება, დაძაბული მუშაობა, მსახიობს ახლა სხვა გმირების სულიერი ძრები აღუღებეს. იქნებოდა ახალი სახეები, ცოცხლდებიან ახალი გმირები, რომელთა უმრავლესობა ყოფილი ან ფსიქოლოგიური პიესებიდანა წამოსული, და ყოველი ახალი სახე, არის ახალი აგური, მიტანილი ა. ოშიაძის მიერ მშობლიურ თეატრში.

საკმაოდ დიდია ა. ოშიაძის ღვაწლი ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაშიც. მსახიობმა 20-მდე მხატვრული სახე შექმნა ეკრანზე — ზოგი მთავარი, ზოგი — ეპიზოდური, მაგრამ როგორც პირველნი ისე მეორენიც მძლავრნი, სისხლსასყენი არიან, და დღეს ძნელია მათ შორის გამოარჩიო რომელიმე; არ იცი რომელს მიანიჭო უპირატესობა, გიორგის („ჭრიჭინა“)

თუ პეპიას („გაბაის ნაამბობი“), დავითს („ვაზაფრული“), კენოში“), თუ სხატუნლს („კაღის ტირითი“), პროკურორს („მე ვიტყვი სიმართლეს“), თუ მემანქანე ბერიძეს („მაღალი ძაბვა“). მაგრამ არა, ზოგი მაინც უნდა გამოვეყოთ, უპირველეს ყოვლისა მეფე ვახტანგ VI („დავით გურამიშვილი“) დიდი სიღინჯით წარმოსახა ა. ოშიაძემ ვახტანგ VI სულიერი ძალი, ამ მოაზროვნე ადამიანის ტრაგედია, მისი მაცოცხლებელი, ყოვლისმომცველი ოცნების მსხვერვა. მსახიობმა შინაგანი დამაჯერებლობით, ზუსტად დასმული მახვილების საშუალებით შეძლო ამ ბედგარული მამულიშვილის სახის დახატვა.

ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორების თენგიზ აბულაძისა და რევაზ ხეხიძის პირველი მხატვრული ფილმი „მადანას ლურჯა“ გამოირჩევა ჩინებულად გამოძიწილი ხასიათების სიმრავლით, მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო სახეა ა. ოშიაძის — პაპა გიგო, უაღრესად გულისხმიერი, კეთილი მოხუცი, მომხიბლავი თავისი დიდი გულთა და კაცთმოყვარეობით, სიღინჯითა და სიფიქსით. მსახიობმა იგი დახატა ძუნწად, მინიშნებით, არსად გადაუჭარბებია საღებავების ხმარებამი.

ასევე ძუნწად დაბრახილურად ჰქვს ა. ოშიაძეს განსახიერებელი მამუკა ფილმში — „შეწვეტილი სიმღერა“. მამუკაც ისევე კეთილია და კაცთმოყვარე, როგორც პაპა გიგო. მაგრამ ოშიაძის ეს ორის სახე არა ჰგავს ურთიერთს. თუმცა ორივე ადამიანურია, თბილი, სულში ჩამწვდომი, პაპა გიგოსა და მამუკას, ისევე როგორც ა. ოშიაძის მიერ შექმნილ ყველა სხვა სახეებს, წილად ხვდა არა ერთი საკუბარო სტრუქტონი წვენი პრესის ფურცლებზე, მაყურებლის არა ერთი კმაყოფილი სიტყვა, მხურვალე სტრუქტონები მიუძღვნა ა. ოშიაძის მამუკას ჩეხოსლოვაკიის პრესამაც, სადაც აღნიშნული იყო, რომ მამუკა არის ფილმის ერთ-ერთი საუკეთესო სახე და რომ ა. ოშიაძის ხელით ქართულ კინემატოგრაფიას ჰყავს ძალზე საინტერესო მსახიობი.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ოშიაძე სრულიად დამსახურებლად სარგებლობს მაყურებლის დიდი სიყვარულით, პოპულარობით; დღეს მსახიობი შემოქმედებით სიმწიფის ასაკშია. ახალგაზრდობის გამოუცდელი სახეა წარსულია, მოხუცებულობის უძლურება კი შორეული მომავალი, ამიტომ მათ, რომ მყურებელი ა. ოშიაძისაგან ჯერ კიდევ ბევრს მოელოს თეატრსა და კინოში.





კადრი ფილმიდან „არგონავტები“ მხატვარი ლ. გულაშვილი, რეჟ. ლ. მუჯირი



კადრი ფილმიდან „ჩიორა“

# ლ ა დ მ მ უ ჯ ი რ ი

კარლო გოგოძე



კვარდენილია საქართველოს სახელობის მუშაობის მიზნობილია დავამთავროს ისე, თუ რამდენიმე სიტყვა არ ვთქვი მის უკანასკნელ ფილმზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ დაუსრულებულია. პატივი მცეს და მაჩვენებს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, გაუხმონებელი მულტიპლიკაციური ფილმის ნაწყვეტები, რომელსაც ახორციელებს ახალგაზრდა რეჟისორი ლადო მუჯირი, დიდი ქართველი მხატვრის ლადო გულაშვილის თანამშრომლობითა და მის მიერვე შექმნილი კომპოზიციების მიხედვით, — წერდა ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე,

კრიტიკოსი პიერ ვორსი 1935 წლის გაზაფხულზე და დასძენდა: — „სახეინმრეწვის სტუდიაში ახალგაზრდა რეჟისორ ლადო მუჯირის ხელმძღვანელობით დაწყებულია ისეთი საქმე, რომლის წინაშეც ევროპის მრავალი სტუდიაც კი, რომლებიც ტექნიკური საშუალებებით გაცილებით უფრო უზრუნველყოფილი არიან, უკან დაიხევენენ“.

პიერ ვორსმა, რომელმაც იმხანად მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა, გაეცნო საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაობას, მის გეგმებსა და წარმატებებს, განსაკუთრებული წვრილიც კი უძღვნა ქართველი კინორეჟისორების მიხილ ჭიკურავის, სიკო დოლიძის, კოტე მიქაბერიძისა და სხვათა ფილმებს.

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში იწყებოდა დიდ-მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც შემდგომ ქართული კინოხელოვნების განვითარების ისტორიაში ერთი თვალსაჩინო როლთაგანი უნდა შეესრულებინა. იქმნებოდა პირველი მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმი „არგონავტები“, საფუძველი ეყრებოდა ნახატი ფილმების ორგანიზებულ წარმოებას საქართველოში.

თუ თვალს გადავაგვლებთ ამ პერიოდის საბჭოთა კინოხელოვნების მდგომარეობას, დავინახავთ, რომ არა თუ საქართველოში, თვით რუსეთის სინამდვილეშიც კი, სადაც, როგორც ნახატ, ისე მოცულობით კინემატოგრაფიას უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საკმაოდ დიდი ტრადიციები ჰქონდა, მეტად ძნელი იყო ამ ფორმით პატარა, მაგრამ შინაარსითა და ამოცანების მიხედვით მეტად დიდი ხელოვნების დანერგვა და განვითარება. საჭირო იყო რაღაც ფანტაზიკური სიყვარული კინოხელოვნების ამ დარგისა, განასაზღვრული ენთუზიაზმი და ფიზიკური ძალაც, ენერჯიც, რომ სათავეში ჩადგომოდა ასეთ რთულ საქმეს და ტექნიკის მხრივ თითქმის ცარიელ ნიადაგზე უდიდესი ეროვნული საქმის მყარი შენობა აგვეო. გადაჭარბება არ იქნებოდა თუ ვიტყვით: ლადო მუჯირის ამ კეთილშობილურ თვისებებს უნდა ვუმაღლოდეთ მულტიპლიკაციური ფილმების შექმნას საქართველოში.

არავის არ ახსოვს ლადო მუჯირი ამ თვისებების გარეშე. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც კი, დასუსტებული და ავადმყოფი ჩვენ გვიჩვენებს იგი სტუდიის ტრიტორიაზე ქალაქში მისი მეტი, ფერმკრთალი, ღონეშიხილი, მულტფარ-



მოგების კიბესთან რომ იდგა, რათა ცოტა შესვენებით ძალა მოეკრიბა, შემდეგ ზვეით, მესამე სართულზე ასულიყო და თავის კოლეგებთან ერთად ემსჯელა ქართული ნახატი ფილმების პერსპექტივებზე.

ოცდახუთ წელზე მეტ ხანს ემსახურა ლადო მუჯირი ქართული მულტიმედიის საქმედ, ქართული კულტურის ამ შესანიშნავ დარგს. ბევრი სიხარული და მწუხარება ნახა მან თავისი შემოქმედებითი მუშაობისა და ძიების გზაზე, მაგრამ წარმატებას მისთვის თავბრუ არასოდეს არ დაუხვევია, მწუხარებას არასოდეს გაუტეხია. როგორც გამარჯვება, ისე მარცხი მისთვის უფრო მედგარი შემოქმედებითი ბრძოლისა და მოქმედების სტიმულის მიმცემი იყო.

იგონებთ ლადო მუჯირის ორგანიზაციულსა და შემოქმედებით მუშაობას და გაოცებთ ამ პატარა, ჩია ტანის ადამიანის ენერჯია, ხასიათის სიმტკიცე, მშობლიური კულტურისადმი ესოდენ დიდი და განუსაზღვრელი სიყვარული.

ლადო მუჯირის მამის იასონ ნიკოფორეს-ძე მუჯირის ოჯახი დღესაც ბევრს ახსოვს სამეგრელოში. წარმოშობით

გურული, ქალაქ ზუგდიდში დასახლებული, უმაღლესი განათლების მქონე ექიმი, იგი იმ ადამიანთა პლეადას ეკუთვნოდა, რომლებიც ცხრასაიან წლებში უცხოეთში სპეციალური ცოდნის მიღების შემდეგ საშობლოში ბრუნდებოდნენ და ხალხის სამსახურში დგებოდნენ. ზუგდიდის მაზრის მთავარი ექიმი დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მეცნიერული გამოკვლევებისა, რომელთა შორის ბევრი ცალკე წიგნადაა გამოცემული, ზოგიც ჩვენი მედიცინის ისტორიის მკვლევართა თვალს მოულის, რათა შესაფერად შეფასდეს და სახალხოდ გამოშუქდეს. ხანგრძლივი და თავდადებადებული მუშაობისათვის იასონ მუჯირს საქართველოში 20-იან წლებში ერთ პირველთაგანს მიენიჭა დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

თავისი დარგის გამოჩენილი სპეციალისტი იასონ მუჯირი შემოქმედი, ლიტერატურის კარგი მცოდნე და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო; მუჯირების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. ლადო მუჯირს კარგად ახსოვდა მის ოჯახში მამასთან



კადრი ფილმიდან „არგონავტები“

ტკბილად მოსაუბრე ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი, ქართული თეატრალური ხელოვნების მოამაგენი: ვასო აბაშიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, განსაკუთრებით კი სცენის ჯადოქარი ლადო მესხიშვილი. ძველ ფოტოს დღემდე შემოუნახავს მომენტები, როცა ბავშვი ლადო მუჯირი ლადო მესხიშვილის მუხლებზე ზის და გახარებული სახელოვანი მსახიობის მკერდს მიყრდნობია. დიდი მსახიობის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მამამ თავის პირველ ვაჟს ლადო დაარქვა.

იასონ მუჯირი თვითონაც წერდა პიესებს, ნარკვევებს, ლექსებს, რომლებშიც იგი თავისთვის, სხვის საიდუმლოდ გა- მოხატავდა გულის მწუნარებასა და სიხარულს, სულის მღელ- ვარებასა და აღტკინებას. ეს ლექსები და ნარკვევები არსად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ნათლად მეტყველებენ ავტორის მაღალ ჰუმანურობაზე, მის კეთილშობილებაზე, პოეტურ ბუნებაზე და ჩვენი ეს ცნობები სწორედ იმისათვის მოვიტანეთ, რომ რაღაც ძირები მოგვეჩვენა ლადო მუჯირის შემოქმედებისა. იასონ მუჯირი გარდაიცვალა 1928 წელს, სწორედ იმ დღეებში, როცა მისმა ვაჟმა ლადომ პირველად შემოდგა ფეხი სახ- კინმწერვეში და ოცი წლის ტაბუტმა მთელი თავისი მგზნებარე ცხოვრება ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას დაუკავშირა.

კადრი ფილმიდან „ჩიორა“



მამისაგან ნაანდერძვეი შემოქმედებითი ნიჭი<sup>119</sup> წინასწარ სასმასურის მაღალი გრძობა, შრომის სიყვარული და თავმ- დაბლობა შეიღმა მშობლიური კინოხელოვნების სასმასურში მოიტანა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა „დაიღმა მუნჯმა“ ასპარეზი დაუთმო სმოვან კინოს, როცა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია ისე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის კინოხელოვნება, ახალი აღმავლობის გზით წავიდა, როცა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტატებმა მიხილ ჭიაურულმა, სიკო დო- ლიტემ, გიორგი მაკაროვმა, სიკო ფალავანდიშვილმა შექმნეს ღირსშესანიშნავი კინონაწარმოები: „უკანასკნელი ჯვაროს- ნები“, „ნახავდის“, „უუუენას შხითევი“, „უკანასკნელი მას- კარადი“. ჩვენი კინემატოგრაფიის კონომიურმა და მხატვ- რულმა წარმატებებმა განამტკიცეს კინემატოგრაფიის თავი- სებური სახეობის — მულტიპლიკაციური ფილმების შექმნის საფუძვლები. საჭირო იყო, მხოლოდ ერთუხასტი, პატრიოტი, შემოქმედებითად ანთებული ადამიანი, რომ ინიციატივა ხელ- ში აეღო, საქმეს სათავეში ჩასდგომოდა და წინ გასდლო- ლოდ.

ამ დროს სახკინმწერვეში უკვე იღებდნენ სხვადასხვა ფილ- მებისათვის საჭირო, წინასწარ დაკვეთილ პატარ-პატარა მულტიპლიკაციურ სიუჟეტებს (წელთა სვლას, დიკარამებს, წარმატებათა მანქნეებელ მობრავ ნახატებს, „მთიანამე“ ვარ- სკვლავებს და სხვა ხასიათის ამორჩავებულ ფიგურებს). ყო- ველთვე ეს პატარა სახელოსნოში კეთდებოდა. ლადო მუჯი- რიც ამ სახელოსნოს რეჟისორ მულტიპლიკატორად მუშა- იობა.

მხატვარ სერგეი ფერდინანდოვი ხელმძღვანელობით, ნი- კოლოზ მარიამთან, ნუკა თოფურბიძესთან, გიორგი ისაყვიან და სხვებთან ერთად მას უკვე გაკეთებული ჰქონდა საავიტა- ციო მულტიპლიკაციური სიუჟეტები: „მთიებე გადამწყვეტი წლის სესხი“, „ინდუსტრიალიზაციის დღე“, „ელექტროფი- კაცია“, „ძირს აკვანი“ და სხვ. მაგრამ ძიებებით გატაცე- ბულს, შემოქმედებითად უკვე საკმაოდ მომწიფებულს, უფრო სრულფასოვანი, მნიშვნელოვანი, უფრო ფართო მასშტაბის მუშაობა უწადა. ვლადიმერ მუჯირმა მიზნად დაისახა მულტ- სიუჟეტების პატარა სახელოსნო ნახტაი ფილმების სტუდიად ექცია და დაკვეთილი, მცირე ფორმის ნახატი სიუჟეტების პა- რალელურად, პირველ რიგში, მკაცრად ჩამოყალიბებულ სიუჟეტის, ხარკვეულის ხასიათების შემცველი, მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმები შექმნა.

ამ დიდი სურვილის განხორციელება არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ლადო მუჯირმა მიაღწია იმას, რომ 1935 წლის შუა რიცხვებში, საქართველოს სახკინ- მწერვეთან მულტიპლიკაციური სახელოსნოს ბაზაზე შეიქმნა სტუდია, რომელმაც შემდგომ თვალსაჩინო როლი შეასრულა საბჭოთა მულტიპლიკაციური ფილმების განვითარების ის- ტორიაში და რომელსაც დღესაც, მისი არსებობის ოცდაათი წლის თავზე, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებს შორის.

პირველი ფილმი, რომელიც სტუდიაში გამოიშვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ „არგონავტები“ იყო. იგი 1936 წლის აპრი- ლის დამლევს გამოვიდა ეკრანზე და ქართულ მხატვრულ კი-



ნემატოგრაფიულ ნაწარმოებთან პირველი გამოცხადება იმ დიდი ისტორიული მნიშვნელობის სამკურნელო ღონისძიებას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა კოლხეთის ჭაობების ამოწრაფვის სახით აწარმოებდა.

ფილმმა მამინე მთიანეთის საზოგადოებისა და პრესის ყურადღებას და მიუხედავად მთელი რიგი მხატვრული ხარვეზებისა, რომელიც, როგორც პირველ ნაბიჯს, შეუძლებელია სურათს არ ჰქონოდა, იგი გვიხილავდა მასივით იდგური მიზანდასახულობით, თემატიკური აქტუალობითა და მთელი რიგი ადგილების შესანიშნავი, სპეციფიკური მხატვრული გააღწევებით. საკმარისა გავისხენით სცენები კოლხეთის ჭაობების მფლობელთა: ბაყაყებისა და კოლოების ქეიფი, მათი დროსტარება, შემოფთება იაზონისა და მედეას გამოჩენისას, „ტანჯებითა“ და „თეთიფრინავებით“ ბრძოლის სცენები, უხვი ჭირნახულით ავსებული კოლხეთის მიდამო და სხვ. რომლებიც ფული და ახალი საყაროს შეურიგებელი ჭიდილის სიმოლურ გამოხატულებად წარმოვიდგება. ამან განსაზღვრა ფილმის საზოგადოებრივი წარმატება.

შესაძლოა „არგონავტები“ ზოგან პრიმიტიულ უახლოვდება — სყოფადა მონტაჟი, ხშირად ოსტატობა აკლდა სახეთა მოძრაობას, მაგრამ იგი იყო პირველი სიტყვა, პირველი ნაბიჯი, რომლის სიმტკიცემ მყარ ნიდაგაზე დააყენა ახალ დაწყებული საქმე, განამტკიცა მისი შემოქმედებითი პერსპექტივა.

სწორედ „არგონავტების“ დამდგმელი კოლექტივის ძირითადმა ნაწილმა, რომელშიც შედიოდნენ: ფილმის მთავარი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, საქმის ინიციატორი და დამდგმელი-რეჟისორი ლადო მუჯირი, ასისტენტი ძაგული მალაყელი; მხატვრები: მიხეილ სენიაშვილი, გრიგოლ ჩხუტიანი, ვიქტორ ათენაშვილი, სერგო სულავა, მიხეილ ხუბუაშვილი, ნუცა თოფურიძე, რეჟისორი მირზაშვილი; ხმის გამორჩეული ვასილ დოლენკო, ხმის ოპერატორი დავით ლომიძე და სხვ. საფუძველი ჩაუყარა მხატვრული ნახატი ფილმის წარმოებას საქართველოში. პირველ ფილმზე მუშაობის ჩამოყალიბდა გარკვეული აზრი და შეხედულება საქართველოში მულტიპლიკაციური ფილმების ხელოვნების განვითარების, ახალჩამოყალიბებულ მულტიპლიკაციის ამოცანებისა და შემოქმედებითი პრინციპის შესახებ. ეს შეხედულებებო გამოთქმული იყო წერილში — „ნაციონალური მულტიპლიკაციისათვის“, რომელიც გახუთ „საბჭოთა ხელოვნების“ 1935 წ. 31 ნომერის ნომერში გამოქვეყნდა. იგი ერთგვარი მანიფესტის ხასიათს ატარებდა. მისი ავტორები იყვნენ: ფილმის მთავარი მხატვარი, ლადო გუდიაშვილი, რეჟისორი ლადო მუჯირი, სცენარის ავტორი ვლადიმერ გუმუშვილი.

„მულტიპლიკაციური ფილმი, — წერდნენ ავტორები, — მაყურებელს იზიდავს სინამდვილის თავისებური ასახვით, მასივით ტრიუკებით, პირობითი ხასიათის უცნაური ფანტასტიკურებით, რაც იწვევს სიხალისეს, ჯანსაღ სიცილს, კულტურულად ართობს და ასვენებს მაყურებელს.

ჩვენი აზრით, ქართული მულტიპლიკაციის მთავარი გზები, მოქმედ პერსონაჟები, თავიანთი შინაგანი ხასიათით, მოქმედებით, ტემპერამენტით, გამოხატულებით, მანერით, მიმიკით, სპეციფიური მოძრაობის კოლორიტით, სიუჟეტური

კომპოზიციური გაფორმებით უნდა განსხვავდებოდეს სხვა ფილმებისაგან“.

წერილი, როგორც ქართული მულტიპლიკაციის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობა დასმულია აგრეთვე საკითხი ნაციონალური ხასიათისა და სტილის, მასალის, მუსიკის, მხატვრობისა და სხვა შემოქმედებითი კომპონენტების აუცილებელი გამოყენების შესახებ. აქვეა ლაპარაკი ამ ახალი საქმიანობის საჭირო ახალი შესაძლებლობების შემოკრების აუცილებლობაზე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მულტიპლიკაციის შემდგომი მუშაობა ძირითადად ამ პრინციპებს ეყრდნობოდა. ყველა მისი დამდგმელი რეჟისორი და მხატვარი პირველ რიგში თვით ლადო მუჯირი, მუდამ იმას ცდილობდა, რომ განუხრავად ევლო ამ გზით. ლადო მუჯირის მიერ შემდგომ დამდგმელი ფილმები: „გაიშვერა“, „ჩოროა“, სამი მგობარი“, „ოქროს ბიბილო“, „გაზაფხულის სტუმრები“, „გაჯარბეულის სათამაშოები“, „ფრთხიანი მგობრები“, „მამაკე აპოპინისტიები“, „ღარიბის ბედი“ და სხვები ამის შემოქმედებითი ფაქტია. აღნიშნულ ფილმებში ვერ გამოარჩევთ ვერც ერთს, რომელსაც თავისებური იდგურ-მხატვრული ღირებულება არ ჰქონდეს, თვალსაჩინო წვლილი არ შექმნდეს ქართული მულტიპლიკაციური ფილმის განვითარების ისტორიაში.

ვლადიმერ ალექსი-მგისხვილი და პატარა ლადო მუჯირი






კადრი ფილმიდან „გაზაფხულის სტუმრები“

თემატიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად ეს ფილმები სახიათდებიან ნახატი კინოსურათების სპეციფიკურ მხატვრულ გამოსახულებათა ახალ-ახალი საშუალებების მუდმივი ძიებით, ახალ-ახალი სახეების პოვნის სურვილით, ორიგინალურად ხატვასადმი გამუდმებული მისწრაფებით, მიმზიდველ კინემატოგრაფიული მეტყველებითა და ემოციურობით.

თუ „სამი მეგობარი“, „ოქროს ბიბილო“ და „მამაცი ალბინსტები“ — თავდადებული მეგობრობისა და ერთგულების მაღალ მნიშვნელობაზე მოუთხოვრებენ მაყურებელს, თუ „გაზაფხულის სათამაშოები“ და „ფრთოსანი მეგობრები“ წესიერების, პატივისცემის, მოურალეობისა და მინდობილი საქმიანობის სიყვარულის გრძნობებს უნერგავენ ჩვენს პატარებს. ფილმში „გაზაფხულის სტუმრები“ დამშულია და სათანადო მხატვრობით გადაჭრილია თანამედროვე ცხოვრების აქტუალური საკითხი, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის, განადიდოხული გარდაქმნებისა და მათ საფუძველზე ხალხთა ბედნიერი ცხოვრების დიდი საკითხი. „გაზაფხულის სტუმრები“ თემატურად და აზრობრივად გვერდში უდვას ლადო მუჯირის პირველ ფილმს „არგონავტებს“. როგორც „არგონავტებმა“, ისე „გაზაფხულის სტუმრებმა“ ერთხელ და სამუდამოდ განამტკიცეს აზრი იმის შესახებ, რომ მცირე ფორმის ნახატ ფილმებში შეიძლება დაისვას და გადაიჭრას თანამედროვე ცხოვრების სინამდვილეში აღძრული, მაღალი

კადრი ფილმიდან „მამაცი ალბინსტები“



მნიშვნელობის, აქტუალური, პრობლემატური ხასიათისა რასაკვირველია, აღნიშნულ ფილმებს ზოგან თავისებური ნაკლოვანებებიც ახასიათებდა. ეს უმეტესად მხატვრულ-მულტიპლიკაციურ ხელოვნებას ეხებოდა. შეინიშნებოდა ვანობრივი ერთფეროვნება, ნაციონალური კლორიტის აღრევა, ნახატის შესრულებაში არა სათანადო სიმწიფე, გატყუება ფორმალური ძიებით, ტექნიკის დაბალი დონე და სხვ. მაგრამ თვითღირს ამ ნაკლიანნი ძალზე პატარა იყო იმისათვის, რომ დაქრდილა ის მხატვრული ღირსებები, რომლებიც ლადო მუჯირის დადგმულ ფილმებს გააჩნდა. ამას მოჰყოფს იმდროინდელი პრესის გამომხატვრება. მაგალითად, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1950 წლის 16 ნოემბერს წერდა: „მამაცი ალბინსტები“ სინტურესო საბავშვო ფილმია. იგი წარმოადგენს ძილვე ალბინსტური მოგზაურობის სიძველევზე, უშულის მეგობრობას, უთიერიდახმარებას, სიმაყვეს, სიმაზრდეს, მოხერხებულობას. ჩინებულია ცხოველების მოძრაობა, ტრიუკები“. ასეივე შეფასება მისცა გაზეთმა ფილმს „ფრთოსანი მეგობრები“, სადაც განსაკუთრებით აღნიშნული იყო ის დიდი წარმატება, რასაც ჩვენმა მხატვრებმა ადამიანის სახის მულტიპლიკაციურ გადმოცემაში მიაღწიეს. ამონაწერები სხვა მრავალიც შეგველო მოგვეტანა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია.

რაც შეეხება ფილმს „ღარიბის ბები“, იგი ლადო მუჯირის უკანასკნელი ნამუშევარი იყო. ეს სურათი ქართული მულტიპლიკაციური ფილმის ისტორიაში სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების კვანძისათვის პირველი, ფრიად თვალსაჩინო ცდაა. მისი ავტორები ლიტერატურული პირველწყაროს ერთგულები რჩებიან, გამიდიან მწერლის ფილოსოფიური შეხედულებებიდან, ამასთან ლიტერატურული ნაწარმოების კინოინტერპრეტაციის დრის დამოუკიდებელი შემოქმედებით პოზიციებზე დგანან და ახდენენ ნაწარმოების ორიგინალურ გარდაქმნას. „მკითხი სიძვეს ბოროტს, სინათლე — წყვიდას, სიმაზრდე და პატიოსნება — ავკაცობასა და არამზადობას“ — ასეთია ფილმის იდეა.

აღტყუება იწყვეს ფილმის კინემატოგრაფიული მომენტები, ოსტატურად გაკეთებული სცენები, კარგად მიგნებული მულტიპლიკაციური დეტალები, რომლებიც ფილმს მხატვრულ სინატიყესა და მიზიდველობას ანიჭებენ. ფილმში ვჭვრეტთ სრულიად ჩამოყალიბებული, ქართული ეროვნული სტილის მხატვარს, რომლის შემოქმედებითი გზა ახალ მწვერვლებს ელვავს, ახალ-ახალ წარმატებებს ვკვირდებთ, მასში იგრძნობა დიდი გამოცდილება, ნიჭი და უშრეტე ენერჯია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ლადო მუჯირი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა (45 წელი), შრომისმოყვარე და შეუწელებელი შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული, მულტატუდიონში ახალ გარდაქმნებზე მეოცნებე, სრულიად მოულოდნელად ჩამოსცილდა საყვარელ საქმეს და სამუდამოდ წავიდა ჩვენგან.

ძნელია და შეუძლებელიც კია ქართული მულტიპლიკაციური ხელოვნების წარმოდგენა ლადო მუჯირის სახელის გარეშე. იგი მთელი არსებით დაკავშირებული იყო ამ მეტად დიდ-მნიშვნელოვან და რთულ შემოქმედებით საქმიანობასთან. იგი იყო არა მარტო ქართული მხატვრული მულტიპლიკაციური

რი ფილმის საფუძვლის ჩამყრელი, შემოქმედი, არამედ საქმის ბრწყინვალე ორგანიზატორი და ხელმძღვანელიც.

პირველი ფილმის დამთავრებისთანავე იგი სვამს ავტორებთან მუშაობის საკითხს. „ჩვენი მწერლების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მულტსტუდიის მუშაობის შედგომა განვითარება“ — ამბობდა იგი მწერალთა ერთ-ერთ შეკრებაზე.

მეორე, და განსაკუთრებულ ამოცანად მიიჩნადა მას ახალგაზრდა კადრების მოძიება. „ჩვენი მულტსტუდიის დღევანდელი სახე უკვე წარმოადგენს ერთ მთლიან საწარმოო შემოქმედებითი მუშაობის მტკიცე კოლექტივს. ისინი საკმაოდ დახელოვნდნენ, აითვისეს მულტფილმების დადგმის რთული საქმე. დღეს უკვე გვეყვანან მთელი რიგი საუკეთესო მხატვრებისა, ფუნჯებისა და კონტურზე მომუშავეებისა, გადამღები ოპერატორებისა და სხვანი, მაგრამ საჭიროა ახალი და ახალი კადრების მოძიება, რათა ფილმების წარმოების ზრდასთან ერთად სისტემატურად უზარუნოდ პროდუქციის მხატვარი მზარე“ — აღნიშნავდა ლ. მუჯირი კინემატოგრაფიის სამსართველოს ხელმძღვანელობისადმი მიწერილ წერილში.

ამავე ხანებში, სახელდობრ, 1936 წლის ივლისში ვლადიმერ მუჯირი პირველი სვამს საკითხს მულტსტუდიასთან თოჯინური ფილმის სექტორის შექმნის შესახებ. „სახეინმრეწვემ გრაფიკული მულტიპლიკაციური ფილმების დანერგვასთან დაკავშირებით საჭიროა მოცულობითი, ანუ თოჯინური ფილმების წარმოების ორგანიზაცია“ — წერდა იგი სახეინმრეწვის ხელმძღვანელობას და ურჩევდა, ამ სახეობის ფილმებზე მუშაობის დაწყების მიზნით, მოსკოვში გაეგზავნათ მხატვარი-მოქანდაკე.

მეტად საინტერესოა ლადო მუჯირის პროექტები „სოიუსმულტფილმთან“ ერთობლივი დადგმების განხორციელების შესახებ, რაც მას მშობლიური მულტფილმების უფრო სწრაფი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნდა. „ერთობლივი დადგმები დაეხმარება ჩვენს მხატვრებს უფრო მეტად აითვისონ ნახატის ფილმის სპეციფიკური მხატვრული მხარეები, გააუმჯობესონ ნახატის სიზუსტე და სინატიფიკური დაოსტატდნენ მულტფილმების შექმნის ტექნიკურ პროცესებს“.

ლადო მუჯირი მოთხოვდა კონვეიერული წესით მუშაობას, რომ გაცდეს არასოდეს ადგილი არ ჰქონოდა. ამის მისაღწევად იგი საჭიროდ თვლიდა ორი დამდგმელი ჯგუფის ერთსა და იმავე დროს წარმოებაში ყოფნასა და პარალელურად მუშაობას.

„ერთსა და იმავე დროს, პარალელურად ორი დამდგმელი ჯგუფის მუშაობა ჩვენი აუცილებელი პირობაა“ — წერს იგი და განაგრძობს: — „როდესაც ერთი ჯგუფი აწარმოებს თანხის სურათის დადგმას, მეორე ატარებს ფართო მოსაზრადე-

ბელ მუშაობას მომავალი სურათისათვის, რათა პირველი დამთავრებისთანავე მისევე შეუდგეს გადაღებას. ეს პრინციპი სტუდიას დაიფარავს გაცდენებისაგან, შევიწარმუნებს კადრებს, გაკვირვებს სურათის თვითღირებულებას“. ამ აზრის სისწორე სრულიად დადასტურა ქართული ნახატი ფილმების განვითარებაში შემდეგ წლებში.

ლადო მუჯირი განუწყვეტლად ფიქრობდა მულტწარმოების გაუმჯობესებასა და გაფართოებაზე. ახალ-ახალი შემოქმედებითი მუშაობით გართული, იგი ერთ წუთსაც არ იფიქვებდა, რომ იმ პრიმიტიულ ტექნიკურ პირობებში, რომელშიაც მულტსტუდიას თავის განვითარების პირველ სტადიაში იმყოფებოდა, მისი შემდგომი წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ იგი მამნივე შეუდგა მულტსტუდიის რეკონსტრუქციისათვის მზადებას. პროექტები, რომლებიც ლადო მუჯირს თავისი ხელით აქვს შედგენილი, ამის ნათელი დოკუმენტია.

ლადო მუჯირი დაამუშავა, რომელიც ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში, ლ. მუჯირის სწავლის ხანებში იცნობდა მას, სიამოვნებით იცნობს: იშვიათად მინახავს ახალგაზრდა, რომელსაც ისე თავდავიწყებით ყვარობდეს თავისი საქმე, როგორც ლ. მუჯირს უყვარდა. თავისი ხასიათით მას შეეძლო ადვილ-თოჯინებთან სხვები, შემოეკრიბა თავის გარშემო და სხვებისათვის შეუძლებელი, მძიმე მუშაობის პირობებშიც კი გამსწეველად წაეყვანა საერთო საქმეში წარმატების მისაღწევად“. სწორედ ამით აიხსნება სიმრავლე იმ შემოქმედებითი და ტექნიკური მუშაობებისა, რომელიც ლადო მუჯირს გარს ეხებია.

ლადო მუჯირის შემოქმედება და მოღვაწეობა მომავალი კვლევის საგანია.

პიერ ვორნოს, ჩვენი მიერ ზევით ხსენებულ წერილში წერდა: „არგონავტების“ ჯგუფმა უნდა მოგვეცეს ახალი, ორიგინალური სიუჟეტები, ახალი ფილმები, რომლებშიც ჩაქოსილი იქნება სამდღეო საკაცობრიო ფანტაზია და პოეზია, რომლებშიც მხატვრულად შესაბამისი იქნება რეალური და არარეალური, რაც ქართულ სამულტიპლიკაციო ფილმს ნოვატორობის სახელს მოუხვეჭს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს შედეგი აუცილებლად მოყვება ამ დარგში არსებულ შემოქმედებითი ძალების თანამშრომლობას“.

თუ გადავიხედოთ ქართული მულტიპლიკაციური ფილმის განვითარების გზას, დავინახავთ, რომ უცხოელი კრიტიკოსი არ შემცდარა. დღეს, ქართულ მულტიპლიკაციურ ფილმს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა მულტიპლიკაციური ფილმების დიდ ხელოვნებაში. მისი ასპარეზი დიდი ხანია გასცდა მშობლიურ საზღვრებს. ცხადია, ამ საამაყო წარმატებებში ლადო მუჯირის დიდი შრომის წილიც ძვეს...

ხასიათებულია მის მიერ შექმნილი ყველა საექტაკო სპექტაკლი, მაგრამ არ არის ნახსენები ახმეტელი, როგორც აღმზრდელი, რომელმაც თათბები გამოაწყო და მათ ქართული თეატრის ტაპანის გაწვევა დააქისრა.

იმისათვის, რომ სრულყოფილად წარმოვიდგინოთ ამ დიდი ადამიანის შემოქმედება და მოღვაწეობა, საჭიროა მისი ცხოვრების ამ უბანსაც მოვფინოთ ნათელი. არქივიდან ამოვკრიფთ ყველა მასალა რუსთაველის თეატრთან არსებული ექსპერიმენტული სტუდია-სახელოსნოს შესახებ, ამოვკრიფთ, კრიტიკულად შევისწავლოთ და შევაგასოთ დიდი რეჟისორის ბიოგრაფია. ეს კეთილშობილური საქმე იქნება, რადგან სწორედ ამ სტუდიის ტრადიციებზე, მის მიერ მომზადებულ ნიადაგზე აღმოცენდა დღევანდელი რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. ამრიგად ამ ერთი შეხედვით, პატარა სასწავლო დაწესებულებამ ორი დიდი საქმის გაკეთებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართული თეატრის ისტორიაში. მაგრამ ვიდრე თეატრმცოდნეები ამ საქმეს ჩაუჯდებიან, ჩვენ გესურს მოკლედ მიმოვიხილოთ ექსპერიმენტული სტუდია-სახელოსნოების საქმიანობის ერთი პერიოდი. (1932 — 35 წლები) და დავახასიათოთ მისი იდეური ხელმძღვანელი, მეთოდოლოგი და მზრუნველი ა. ახმეტელი.

...1932 წელს მოსკოვში ტრიუმფული გასტროლებიდან თეატრი ახალი დაბრუნებული იყო. ყველანი დედაქალაქში მოპოვებულ წარმატებაზე ლაპარაკობდნენ. ყველა აღჯუნებულნი, გახარებული იყო ქართული თეატრის მანამდე არნახული გამარჯვებით. თეატრის ფოიეში, სადაც სტუდიაში სწავლის მსურველნი ვიკრიბებოდით, გაოგნებულნი ვუსმენდით გასტროლების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს. „ლამარია“, „საზორია“, „თეთნულელი“, „ყაჩაღები“ — ეს სახელები ყოველ წინადადებაში ფიგურირებდნენ. ეს სახელები ბევრი ჩვენგანისათვის ახლობელი იყო (მე მაგალითად თხზივე სპექტაკლის ტექსტი ზეპირად ვიცოდი). ჩვენ ვიყავით იმ თეატრში, რომელზე ფიქრში მრავალი დამე გაგავითენებია, ახლოს ვხედავდით სათაყვანებელ მსახიობებს ა. ხორავას, ა. ვასაძეს, ე. ლორთქიფანიძეს, ე. ლალიძეს, ე. აბაშიძეს...

საქმაო მკაცრი და ობიექტური გამოცდის შემდეგ (საგამოცდო კომისიის ხელმძღვანელი ა. ვასაძე), ჩავგრიცხეს სამსახიობო ფაკულტეტის I კურსზე. სხვათა შორის, ამ წელს მეტად გაიზარდა სტუდიის სამოქმედო სარბიული. თბილისის ჯგუფის გარდა ჩამოყალიბდა აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ინგუშეთის სექციები. ამათ გარდა ახმეტელის ინიციატივით შეიქმნა ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ფაკულტეტებიც, პირველი დიდხანს შემორჩა სტუდიას, ხოლო მეორე მალე გაერთიანდა სამსახიობო ფაკულტეტთან.

